პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

იმოქმედე საქართველოსთვის: მტკიცე და აქტიური სამოქალაქო საზოგადოება ცვლილებებისთვის

განხორციელების ვადა: 01.02.2025 - 31.01.2027

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 1 468 328

მთლიანი ბიუჯეტი: € 1 568 328

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
Konrad-Adenauer-Stiftung (KAS, Georgia)

Funded by the European Union

პროექტის აღწერა:

პროექტი “იმოქმედე საქართველოსთვის“ აძლიერებს ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოებას საქართველოს რეგიონებში, ხელს უწყობს დემოკრატიულ მმართველობას და სამოქალაქო ჩართულობას ქვეყნის მასშტაბით. პროექტის მიზანია სამოქალაქო სექტორის ინსტიტუციური გაძლიერება და მისი მდგრადობის უზრუნველყოფა.

დემოკრატიული ღირებულებებისა და სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის მიზნით, პროექტის ფარგლებში შეიქმნა სამოქალაქო საზოგადოების ჰაბები, რომლებიც საქართველოს 10 რეგიონში წარმოადგენენ სამოქალაქო სექტორის ინსტიტუციურ საყრდენს. პროექტი ასევე აძლიერებს სათემო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო აქტივისტებს, ადგილობრივ გამოწვევებზე შემდგომი რეაგირების, ადვოკატირებისა და პოზიტიური ცვლილებების მიზნით.

პროექტი ეფუძნება იმ ცოდნასა და გამოცდილებას, რაც დაგროვდა წინა წლებში განხორციელებული ორი პროექტის - “სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა” (2017-2021) და “სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა” (2021-2024) - ფარგლებში.

მოსალოდნელი შედეგები:

პროექტი საქართველოს რეგიონებში ფარავს:

o 500 ორგანიზებულ ჯგუფს (სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, სათემო ორგანიზაციები და საინიციატივო ჯგუფები).
o 3000 მოქალაქე (აქტივისტები, ახალგაზრდები, სკოლის მასწავლებლები, აკადემიური სფეროს წარმომადგენლები).
o 50 ბიზნესორგანიზაცია.

პროექტი ასევე მოიცავს კომპლექსურ საგრანტო კომპონენტს სამოქალაქო საზოგადოების ჰაბების, ადგილობრივი ინიციატივების, სამოქალაქო აქტივისტების, სახალხო დაფინანსების (“ქრაუდფანდინგის”), კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მხარდასაჭერად.